

ფინანსური მენეჯმენტი ბანკში: კაპიტალის, აქტივებისა და პასივების, შემოსავლიანობის, რისკების, ფინანსური მართვის თანამედროვე სისტემები და ოქროს საბანკო წესები

ლეილა დოლიძე — სტუ-ს დოქტურანტი

**Financial management in the bank:
money management, asset and liability risk,
advanced system financial management
and bank golden rules**

Dolidze Leila

Summary

1. Refined justification of capital adequacy; selection of the optimal method of capital increase; Accounting costs and risks of raising funds; The basic methods of asset management; the main indicators of profitability (profitability) of the bank; management of bank risks; Studied modern financial management system.

2. Formulated "Golden banking rules," which allow for: Short-term liabilities are placed in short-term assets and long-term liabilities should be in long-term assets; The amount of short-term and medium-term funds of the asset shall not exceed the amount of the Medium and short-term obligations in liabilities; Term placement of funds shall not exceed a period of attraction; Asset structure: the lower the proportion of risky assets in the balance sheet of the bank, the higher the liquidity, Structure of liabilities: the lower the proportion of demand deposits and time deposits greater share of the higher liquidity.

keywords: Capital; Financial analysis; Assets and Liabilities; Profitable

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბანკის – კაპიტალის, აქტივებისა და პასივების, შემოსავლიანობის ანუ რენტაბელობის, რისკების, ფინანსური მართვის საკითხები და ოქროს საბანკო წესები. აზუსტებულია კაპიტალის საკმარისობის დასაბუთება; კაპიტალის ნაზარდის ოპტიმალური ხერხის შერჩევა; სახსრების მოზიდვის ღირებულებისა და რისკების გათვალისწინება; განხილულია აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი მეთოდები; ბანკის შემოსავლიანობის (რენტაბელობის) ძირითადი მაჩვენებლები; შესწავლილია ფინანსური მართვის თანამედროვე სისტემები. ჩამოყალიბებულია „ოქროს საბანკო წესები“, როგორებიცაა: მოკლევადიანი პასივები უნდა განთავსდეს მოკლევადიან აქტივებში, ხოლო გრძელვადიანი პასივები განთავსებული უნდა იქნას გრძელვადიან აქტივებში; აქტივის მიხედვით მოკლევადიანი და საშუალოვადიანი სახსრების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ვალდებულებების შესაბამის ჯამს პასივების მიხედვით; სახსრების განთავსების

ვადა არ უნდა აღემატებოდეს მათი მოზიდვის ვადას.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალი; ფინანსური ანალიზი; აქტივები და პასივები; შემოსავლიანობა, ანუ რენტაბელობა.

თანამედროვე საბანკო ფინანსური მენეჯმენტის აქტუალური პრობლემების რიგს მიეკუთვნება: კაპიტალის, აქტივებისა და პასივების, შემოსავლიანობის, რისკების, ფინანსური სისტემების ეფექტური მართვის საკითხები. ჩნობილია, რომ კაპიტალის მართვა ითვალისწინებს:

❖ მისი საკმარისობის დასაბუთებას ბანკის აქტიური ოპერაციების მოცულობასთან, სტრუქტურასთან და შინაარსთან შესაბამისობაში. რამდენად მეტია რისკიანი აქტივების წილი, იმდენად შედარებით მეტი სიდიდის საკუთარი სახსრებია საჭირო. ნებისმიერ შემთხვევაში კაპიტალის მაღალი წილიანი ბანკები უფრო საიმედოებად და კონკურენტუნარიანებად ითვლებიან.

❖ მოცემული მომენტისათვის კაპიტალის ნაზარდის ოპტიმალური ხერხის შერჩევა. განსხვავებულ შემდეგ ხერხება:

- კაპიტალის ზრდის უმნიშვნელოვანესი შიდა წყაროა — მოგება. მისი სიდიდე ბანკის დივიდენდურ პოლიტიკასთან (აქციაზე შემოსავლის დადგენილ სიდიდესთან) არის დაკავშირებული;
- ბანკის სანესდებო კაპიტალის სააქციო საზოგადოების ფორმით გადიდება აქციების გამეორებითი ემისიის ხარჯზე არის შესაძლებელი, რაც მაღალ საემისიო დანახარჯებთან არის დაკავშირებული;
- სუბორდინირებული კრედიტების მიზიდვა.

❖ კლიენტებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების სახსრების მოზიდვის ღირებულებისა და რისკების აღრიცხვა.

კაპიტალის გადიდების წყაროს საბოლოო არჩევანი სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობის გათვალისწინებით ხორციელდება.

➤ **აქტივებისა და პასივების მართვა:** აქტივებისა და პასივების მართვა რესურსების ფორმირებისა და აქტიური ოპერაციების მიხედვით მათი განთავსების ისეთი მეთოდების გამოყენებას ითვალისწინებს, რომლებიც ბანკისათვის ლიკვიდობის, შემოსავლიანობისა და

რისკის ოპტიმალურ თანაფარდობას უზრუნველყოფენ.

➤ **აქტივების მართვა ითვალისწინებს:**

1. აქტიური ოპერაციების დივერსიფიკაციას მათი ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით. აქ გამოიყოფა:

- მაღალლიკვიდური აქტივები — პირველადი რეზერვები (სალაროს აქტივები, სახსრები სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე). რაც შეეხება საბანკო რეზერვებს, რომლებიც მაღალლიკვიდური აქტივების ნაწილს წარმოადგენენ, სავალდებულო რეზერვების სახით ცალკეული ბანკისა და საბანკო სისტემის დონეზე ლიკვიდობის რეგულირებისათვის გამოიყენება;
- მეორადი რეზერვები — სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, სესხები და გადახდები ბანკის სასარგებლოდ 30 დღის განმავლობაში დაფარვის ვადით;
- დანარჩენი სესხები;
- ფასიანი ქაღალდები არასახელმწიფო ემიტენტების;
- ძირითადი საშუალებები (შენობები და მონყობილობები) — კონსალტინგური და ფინანსური მომსახურებები, რომლებიც კლიენტებს საკომისიოების საფასურად მიეწოდებათ.

2. რისკებზე ყურადღების გამახვილება და მათი შემცირება, აქტიური ოპერაციების მიხედვით რეზერვების შექმნა.

3. აქტივების შემოსავლიანობის მხარდაჭერა. შემოსავლიანობაზე დამოკიდებულებაში ოპერაციები დაიყოფა შემოსავლის მომტანებად და არ მომტანებად. შემოსავლების მომტანი აქტივები დაიყოფა მათი სტაბილურობის ნიშანთვისების მიხედვით:

- სტაბილური შემოსავალი — საკრედიტო და საინვესტიციო ოპერაციები;
- არასტაბილური შემოსავალი — კონსალტინგური და ფინანსური მომსახურებები, რომლებიც კლიენტები საკომისიოების საფასურად მიეწოდებათ.

➤ **აქტივების მართვის ძირითადი მეთოდები:**

პირველი მეთოდი: აქტივების მართვა სახსრების საერთო ფონდის მიხედვით ითვალისწინებს — ბანკის ყველა რესურსების (საკუთარი და მოზიდულები): მოთხოვნამდე ანაბრების, საშემნახველო ანაბრების, ვადიანი ანაბრების, აქციონერული კაპიტალისა და რეზერვების შესვეობით — სახსრების საერთო ფონდის შექმნას, რომელიც მიმდინარე ლიკვიდობის, ან სპეკულაციური მოგების უზრუნველყოფის პოზიციიდან, მიმდინარე პრიორიტეტების საფუძველზე, აქტივების მიხედვით: პირველად რეზერვებში, მეორად რეზერვებში, სესხებში, დანარჩენ ფასიან ქაღალდებში, შენობებში და მონყობილობებში განთავსდება. აღნიშნული მე-

თოდი რისკიანად ითვლება. ცალკეულ პერიოდებში მათი გამოყენება მხოლოდ მაღალი ფინანსურ მდგრადობის მქონე ბანკებს შეუძლიათ.

მეორე მეთოდი: აქტივების მართვამ აქტივების განაწილების (სახსრების კონვერსიის) მეთოდის მიხედვით — საბანკო პრაქტიკაში ფართე გამოყენება მოიპოვა. იგი რესურსების მოზიდვის სხვადასხვა სახეობების მიმოქცევის სიჩქარეზეა დაფუძნებული. აქტივებისა და პასივების მართვა, ვადებისა და სიდიდეების მიხედვით მათი კოორდინაციის გზით, ერთდროულად ხორციელდება. აღნიშნულ მეთოდს ბანკის შიგნით შედარებით გამოცალკავებული „ლიკვიდობის — მომგებიანობის ცენტრების“ შექმნისაკენ მივყავართ.

ბანკის მხრიდან კლიენტების მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებაზე ორიენტაციისას ორივე მეთოდს ნაკლოვანებებიც გააჩნია. კრედიტებზე მოთხოვნა და რესურსების მიწოდება შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს. ბანკები ლიკვიდობის საშუალო დონეზე ორიენტირებით, კლიენტებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

მესამე მეთოდი: აქტივების მეცნიერულად მართვის (ანუ ეკონომიკურ-მათემატიკური) მეთოდი, რომელიც ლიკვიდობისა და რისკების დივერსიფიკაციის ნორმატივების დაცვისას, მოგების მაქსიმიზაციაზეა ორიენტირებული. აღნიშნული მეთოდი ყველაზე უფრო ეფექტიანად ითვლება. აქტივებისა და პასივების მეცნიერული მართვის საფუძველში ეგრეთ წოდებული „ოქროს საბანკო წესები“ ჩადებული.

ზემოთჩამოყალიბებული ნებისმიერი მეთოდით აქტივებისა და პასივების მართვის ეფექტიანობის მაჩვენებელს ბანკის აქტიური ოპერაციების მიხედვით შემოსავლიანობის დონე წარმოადგენს {1, გვ. 302-314}.

➤ **ოქროს საბანკო სისტემები:**

- მოკლევადიანი პასივები უნდა განთავსდეს მოკლევადიან აქტივებში.
- გრძელვადიანი პასივები უნდა განთავსდეს გრძელვადიან აქტივებში.
- აქტივის მიხედვით მოკლევადიანი და საშუალოვადიანი სახსრების ჯამი არ უნდა აჭარბებდეს პასივის მიხედვით მიკლევადიანი და საშუალოვადიანი ვალდებულებების ჯამს.
- აქტივების მიხედვით გრძელვადიანი სახსრების ჯამი შეიძლება აჭარბებდეს ბანკის გრძელვადიანი ვალდებულებებისა და მისი საკუთარი კაპიტალის ჯამს.
- განთავსების ვადა არ უნდა აჭარბებდეს მოზიდვის ვადას.
- აქტივების სტრუქტურა: რამდენად დაბალია ბანკის ბალანსში მაღალლიკვიდური აქტივების წილი, იმდენად მაღალია მისი ლიკვიდურობა.

- პასივების სტრუქტურა: რამდენად დაბალია მოთხოვნამდე ანაბრების წილი და მეტია ვადიანი ანაბრების წილი, იმდენად მაღალია ლიკვიდურობა.
- **ბანკის შემოსავლიანობის მართვა: ბანკის შემოსავლიანობის მართვა ითვალისწინებს აქტიური ოპერაციების მიხედვით შემოსავლის მიღებას, რომელიც საკმარისი იქნება რომ გადაიფაროს:**
 - დანახარჯები სახსრების მოზიდვასთან მიმართებაში;
 - საოპერაციო დანახარჯები;
 - ინფლაციის დანახარჯები;
 - რისკები შემოსავლიანი ოპერაციების მიხედვით (პრემია რისკზე).
- **ფინანსური მართვის მეთოდები:**
 - ბანკის საქმიანობის ფინანსური მართვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსური ანალიზი (უფრო ფართედ — ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი), საბიუჯეტო დაგეგმვა, ბანკის ლიკვიდობის მართვა.
 - ფინანსური ანალიზის ქვეშ (ინგლ. Financial analysis) გაიგება საკრედიტო ორგანიზაციის გასული პერიოდისა და პერსპექტივაზე ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრის მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც მისი ფინანსური მდგომარეობის მიღწევაზეა მიმართული. ფინანსური ანალიზის მიზანს წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციის ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია და დასაშვები რისკების ფარგლებში მისი საქმიანობის მაქსიმალურად შესაძლო შემოსავლიანობის უზრუნველყოფა. ფინანსური ანალიზი წარმოადგენს ფინანსური გადაწყვეტილების მიღების საფუძველს პირობას და იგი ფინანსურ დაგეგმვასთან უშუალოდ არის დაკავშირებული. ფინანსური ანალიზის ძირითად მეთოდებს მიეკუთვნებიან – ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი და ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდი.
 - ფინანსური დაგეგმვა — არის ფინანსური მენეჯმენტის მეთოდი, რომელიც რესურსების ეფექტიანად ფორმირებისა და მოხმარების მიზნით გამოიყენება, იგი თავისთავად მიმდინარე, ოპერატიული და გრძელვადიანი გეგმების სისტემას წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში ბანკებში საბიუჯეტო დაგეგმვა (ბიუჯე-

ტირება) ფინანსური დაგეგმვის ნაირსახეობა გახდა.

- აქტივებისა და პასივების თანხების, ვადების, ფასების მიხედვით დივერსიფიკაცია მოგების, რისკების, კაპიტალის ადექვატურობის ოპტიმიზაციის მიზნით.
- ხაზინის შექმნის გზით მოკლევადიანი აქტივებისა და ვალდებულებების სახაზინო მართვა. სახაზინო განყოფილება ბანკის სხვა ქვედანაყოფებთან კავშირს შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისიდან გამომდინარე საბანკო პოზიციების მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე ახორციელებს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. დაზუსტებულია კაპიტალის საკმარისობის დასაბუთება; კაპიტალის ნაზარდის ოპტიმალური ხერხის შერჩევა; სახსრების მოზიდვის ღირებულებისა და რისკების გათვალისწინება; განხილულია აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი მეთოდები; ბანკის შემოსავლიანობის (რენტაბელობის) ძირითადი მაჩვენებლები; საბანკო რისკების მართვა; შესწავლილია ფინანსური მართვის თანამედროვე სისტემები.

2. ჩამოყალიბებულია „ოქროს საბანკო წესები“, როგორებიცაა: მოკლევადიანი პასივები უნდა განთავსდეს მოკლევადიან აქტივებში, ხოლო გრძელვადიანი პასივები განთავსებული უნდა იქნას გრძელვადიან აქტივებში; აქტივის მიხედვით მოკლევადიანი და საშუალოვადიანი სახსრების ჯამი არ უნდა აჭარბებდეს ვალდებულებების შესაბამის ჯამს პასივების მიხედვით; სახსრების განთავსების ვადა არ უნდა აჭარბებდეს მათი მოზოდვის ვადას; აქტივების სტრუქტურა: ბანკის ბალანსში რამდენად დაბალია მაღალრისკიანი აქტივების წილი, იმდენად მაღალია მისი ლიკვიდობა; პასივების სტრუქტურა: რამდენად დაბალია მოთხოვნამდე ანაბრების წილი და მეტია ვადიანი ანაბრების წილი, იმდენად მაღალია ლიკვიდობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Костерина Т.М. – Банковское дело: Учебно-методический комплекс. – Москва: Изд. центр ЕАОИ, 2008. – 404 с.
2. Балабанов И.Г. – Риск-менеджмент. – Москва, 1996. – 620 с.